საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. #157 არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“

ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. #157-ზე სავაჭრო- საგამოფენო პავილიონის რეკონსტრუქციის პროექტი შეასრულა **ფ/პ“კობა სურმავა“**
(მისამართი: ქ. თბილისი, ზედაზენის ქ.#2)
პროექტის მთავარი არქიტექტორი: **კობა სურმავა**

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქარველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების
(„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტ ანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.ШШ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

- **პროექტის აღწერილობა**

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. #157-ში (2272 მ2). ნაკვეთი ხასიათდება წყნარი რელიეფით, ერთნაირი ქანობით ჩრთილოეთიდან სამხრეთისკენ. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება თვითმმართველი ერთელის საკუთრების ნაკვეთი, სამხრეთით - ჩიხი, ჩრდილოეთით - რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - სამანქანო გზა - ბელიაშვილის ქუჩა. ტერიტორიის გეომეტრიული კონფიგურაცია წარმოადგენს მარავალკუთხედს, რომლის სიღრმე არის ≈48 მ, ხოლო გზის გასწვრივ ნაკვეთის სიგრძე ≈45მ. მიწის ნაკვეთის ოროგრაფია თითქმის სწორია, უკიდურეს დასავლეთსა და აღმოსავლეთ ნიშნულებს შორის სხვაობა არის 1,20 მ. ტერიტორიაზე სატრასპორტო საშუალებებითა და ფეხმავალთა მისვლა ხდება ძირითადად ბელიაშვილის ქუჩიდან (წარომადგენს ასფალტირებულ გზას). შენობა განთავსებულია საკადასტრო საზღვრიდან 11,29 მ შიგნით, რაც საშუალებას იძლევა ქუჩის მხარეს, შენობის წინ, ღია ავტოსადგომების განთავსებისათვის. ნაკვეთის სამხრეთ ნაწილი უკავია კეთილმოწყობილ ეზოს.

- **ძირითადი ნაწილი**

1. **დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება**

არსებული პროექტი წარმოადგენს საგამოფენო-სავაჭრო პავილიონის ფართობის გაზრდას რომლის სივრცეში მოეწყობა მონოლითური სართულშუა ფილა და განთავსდება სასაწყობო ფართი. მე-**3 თავის, 311.2 ქვეთავის** შესაბამისად აღნიშნული სასაწყობო ფართი კლასიფიცირდება როგორც **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო სწ-1 ჯგუფის** დაკავებულობა, და ითვალისწინებს **სწ-1** ტიპის დაკავებულობისთვის განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას.

სწ-1 ჯგუფის დაკავებულობა განთავსებულია როგორც არსებულ **0.00** ნიშნულზე ასევე საპროექტო **+3.50** ნიშნულეზე

სწ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**46.5** , **1004 ქვეთავისა** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა, რომლის ჯამი შეადგენს **12** დამკავებელს.

საპროექტო **სწ-1 ჯგუფის** დაკავებულობა განთავსებულია „ბ“ და“დ“ ღერძებში, „ა“ და“ბ“ ღერძებში მოწყობილია არსებული ოფისები, რომლებიც მიეკუთვნება **სქ ჯგუფის** დაკავებულობას. შენობა ნაგებობობის უსაფრთხოების წესების **508. 4 ცხრილი** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯვნას არ საჭიროებს, მიუხედავად ამისა არსებული მდგომარეობით საპროექტო **სწ-1** ქვეჯგუფის დაკავებულობა და არსებული **სქ** ჯგუფის დაკავებულობა გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცლმედეგობის მქონე ბლოკის კედელით.

პროექტის მიხედვით დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვა სწორად არის გამოთვლილი **1004,1.2** ცხრილის მიხედვით

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

პროექტის კლევის საფუძველზე, წესების **721.1 ცხრილში** მოცემული მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე დადგინდა, რომ არსებული შენობა შეესაბამება **IB** კონსტრუქციის ტიპს, ხოლო შენობის საპროექტო ნაწილისთვის, გამოყენებული სამშენებლო მასალებიდან და **503 ცხრილში** მოცემული დაკავებულობის დასაშვები ფართობებიდან გამომდიანრე შერჩეულია კონსტრუქციის ტიპი **IIB**, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილ სიმაღლეს, ფართობსა და სართულიანობას წესების **503 ცხრილის** მიხედვით.

სარეკონსტრუქციო შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო(გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (ლითონის სტრუქტურაზე დაყრდნობილი გაძლიერებული ბეტონის ფილა) აკმაყოფილებს წესების **601 ცხრილის** მოთხოვნებს ცეცხლმედეგობის ხარისხთან დაკავშირებით (აღნიშნულ ელემენტებს **IIB** ტიპის კონსტრუქციის შემთხვევაში არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი)

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

არსებული შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით, შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე. შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

იქიდან გამომდინარე რომ, არსებული შენობა აკმაყოფილებს **IB** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე **11** სართულია, ხოლო საპროექტო ნაწილის შემოთავაზებული სართულიანობა:
სწ-1 დაკავებულობის ჯგუფისთვის 2 სართული.
საერთო ჯამში შენობის სართულიანობა შეადგენს მიწის ზემოთ 3 სართულს(მიწისქვეშა სართული არ აქვს),შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით, კერძოდ შენობის ოთხი კუთხის საპროექტო ტოპოგრაფიული ნიშნულებიდან გამომდინარე განსაზღვრულია „მიწის დონე“, რომელიც შეესაბამება **-0,15 (423,60) ნიშნულს,** წესების მიხედვით შენობის სიმაღლე შეადგენს **13,66 მ-ს**
0,00 ნიშნულზე სწ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდიანრე **(IB)** მაქსიმალური მოთხოვნილი ფართობია **4460 მ²**, ხოლო შემოთავაზებული ფართობი 0,00 ნიშნულზე შეადგენს **287,4 მ²**, ხოლო საპროექტო ნაწილის **+3,50** ნიშნულზე განთავსებული **სწ-1 ჯგუფის** დაკავებულობისთვის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე (**IIB**) დასაშვები ფართობია **1630 კვ.მ**- შემოთავაზებული ფართობი შეადგენს **260 მ²**

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალ მანძილთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად. წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის,** და **1021.2(2) ცხრილის** მოთხოვნებიდან გამომდინარე **სწ-1 სასაწყობო ჯგუფის** დაკავებულობას მიწისპირა სართულზე (0,00 ნიშნული) ემსახურება 2 გასასვლელის გზა-კარი, ხოლო მეორე სართულზე (+3,50 ნიშნული) ერთი გარე გასასვლელის გზა-კიბე და ერთი შიგა გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე. გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი ორივე სართულისთვის შეადგენს 33 მეტრს, რაც აკმაყოფილებს წესების**1016.2 ცხრილის** მოთხოვნებს.

გასასვლელელები გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

1009.4 ქვეთავის მიხედვით სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(6 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(7.6 მმ).**

პროექტის მიხედვით დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე (50-ზე ნაკლები) გათვალისწინებულია **0.90 მეტრი** სიგანის გასასვლელთან მისადგომი და გარე გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1009.4 ქვეთავის 1 გამონაკლისის** მოთხოვნებს გზა-კიბის სიგანესთან დაკავშირებით გზა-კიბეები ასევე აკმაყოფილებენ წესების **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავის მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი).

გასასვლელი გზა-კარი მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0,82 მეტრს,** ხოლო არსებული პროექტით, გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-კარის მინიმალური სუფთა თავისუფალი სიგანე ჯამურად შეადგენს **3,22 მეტრს.** (თითო გზა-კარი მინიმუმ 0,82 მეტრი და ერთი გასასვლელის გზა-კარი 2,40 მეტრი სიგანის)

ასევე უნდა აღინიშნოს რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარები აკმაყოფილებს წესების **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

6.მისაწვდომობის შეფასება;

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-**11-თავის** მიხედვით პროექტში გათვალისწინებულია მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, და შენობიდან გამოსვლა.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1104.4 ქვეპუნქტის 1 გამონაკლისის** მიხედვით, მრავალდონიან შენობებში **280 კვ.მ-ზე** ნაკლები ფართობის მქონე სართულებს არ მოეთხოვება მისაწვდომი სვლაგეზი აქედან გამომდინარე საპროექტო ნაწილის +3.50 ნიშნულზე მისაწვდომი სვალგეზი უზრუნველყოფილი არ არის.

საპროექტო ფართობი, ფუქციიდან გამომდინარე (საწყობი) საჭიროებს მძიმე ფიზიკური შრომის უზრუნველყოფას. შენობის მფლოებლისა და არქიტექტურული პროექტის დამკვეთის განცხადებით სასაწყობე დაკავებულობებში სამუშაოდ არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება, ასევე არსებული პროექტის კონფიგურაციიდან გამომდინარე ტექანიკურად მიზანშეწონილი არ არის არსებული სველი წერტილის რეკონსტრუქცია.

ყოველივე ამის საფუძველზე შესაძლებელია დავიშვათ, რომ სწ-1 ქვეჯგუფის დაკავებულობაში არ იყოს შშმ პირებისთვის განკუთვნილი მისაწვდომი ტუალეტი.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;

არსებული შენობის გარე კედელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე. არსებულ შენობის „დ“-„ა“ღერძებში განთავსებული გარე კედელბი ერთ მეტრზე ნაკლები მანძილით უახლოვდება საკადასტრო საზღვარს(0,42-0,88 მეტრი), წესების **602 ცხრილის** და კონსტრუქციის ტიპის **IB** მიხედვით აღნიშნულ კედელბს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რასაც აკმაყოფილებს არსებული შენობა კედელბის მასალიდან გამომდინარე (ბეტონის ბლოკი)

არსებული შენობის „ა“-„დ“ და „1“-„6“ ღეძებში არსებულ კედელბს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე (9 მეტრზე მეტი) არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი.

არსებული შენობის 6-1 ღერძებში მდებარე ფასადის კედელი საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია მინიმუმ **0,40 მეტრით** და მაქსიმუმ **4,33 მეტრით,** წესების **602 ცხრილის** და კონსტრუქციის ტიპის **IB** მიხედვით აღნიშნულ კედელბს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რასაც აკმაყოფილებს არსებული შენობა კედელბის მასალიდან გამომდინარე (ბეტონის ბლოკი). საკადასტრო საზღვირდან **2,80 მეტრის** დაშორებით კედლში მოწყობილია საპროექტო ღიობები, რომლებიც აკამყოფილებს წესების **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს ღიობების მაქსიმალურ ფართობთან დაკავშირებით

გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი განსაზღვრულია წესების **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილს** მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

ვინაიდან შენობა არის არსებული და ვეხებით მხოლოდ პირველი სართულის სივრცეს, რომელშიც უნდა მოეწყოს სართულშუა მონლითური ფილა, ზედა ბოლო სართულის და სახურავის ანაწყობის შეფასება არ განხორციელებულა.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;

არსებული შენობის შეფასებისა და დაკავებულობების განსაზღვრის შემდეგ დადგინდა, რომ საპროექტო **სწ-1** ქვეჯგუფის დაკავებულობასა და არსებულ **სქ** ჯგუფის დაკავებულობას შორის **503.4 ცხრილის** მიხედვით ცეცხლმედეგი გამმიჯნავის უზურნველყოფა აუცილებელი არ არის, მიუხედავად ამისა აღნიშნული დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია არსებული, მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ბლოკის კედლით.

ასევე, **სწ-1** ჯგუფის დაკავებულობა მესამე სართულისგან გამიჯნულია არსებული სართულშუა ფილით (თარაზული ანაწყობით), რომელიც უზურნველყოფს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს და შეესაბამება **508 ქვეთავის 508.4 ცხრილის** მოთხოვნებს

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო **(სწ-1) ჯგუფის** დაკავებულობებისთვის წესების **906 ქვეთავის** მიხედვით დაკავებულობებში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები,
ხანძრისაგან დაცვის სხვა სისტემები არ მოეთხოვება.

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

სარეკონსტრუქციო შენობის საპროექტო ნაწილში წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფის **(სწ-1)** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებ წესების **1602.1** ცხრილის მიხედვით.

არსებული ტუალეტი მდებარეობს 0.00 ნიშნულზე, ხოლო ტუალეტამდე მისასვლელი მანძილი არ აღემატება **150 მეტრს,** რაც აკმაყოფილებს წესების **1602.3.2 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს ტუალეტების მდებარეობასთან დაკავშირებით

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. №157-ში განთავსებული სავაჭრო- საგამოფენო პავილიონის რეკონსტრუქციის შენობის არქიტექტურული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმნტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: **ვილიანა გულიაშვილი**

ხელმოწერა: 

თარიღი : **15.02.2018**

GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

HIGHER EDUCATION

DIPLOMA

UA № 000003

By the decision N 20 December 12, / 2005 . /

of the faculty of Architecture

Ms. Viliana Guliashvili

was awarded the qualification of Architect

in

Architecture

with 5 year educational program.

სარეგისტრაციო № Registration № 00003

თბილისი Tbilisi 11 რიცხვი/day 5 თვე/month 2012 წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი განათლების

დიპლომი

UA № 000003

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2005 წლის 12.12 № 20

გადაწყვეტილებით ვილიანა გულიაშვილს

მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია არქიტექტურის

სპეციალობით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა: 5 წელი

დეკანი თ. ჭანტურია / Tamar Chanturia /

Dean T. Tchanturia

რექტორი / არჩილ პრანგიშვილი /

Rector / Archil Prangishvili /

ბ.ა. Seal

შ.პ.ს. "გოდაკო+"
საიდენტიფიკაციო კოდი; 202269035
იურიდიული მისამართი; საქართველო,
თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, ი.ევდოშვილის 2/10

ტელ; 592 90 30 22 ელ.ფოსტა godaco@mail.ru

58/2017

ცნობა

ეძლევა მოქალაქე ვილიანა გულიაშვილს (პირადი N01027020578) მასზედ, რომ ის 2007 -2012 წლებში მუშაობდა შპს "გოდაკო+" ს/კ 202269035 არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად

დირექტორი: გიორგი კვიწინაშვილი

godaco+ არქიტექტურული ფირმა